ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9726110001
თარიღი:20/04/2026

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომა N-07

დ. ლენტეხი. 16 აპრილი.2026წ.

მიმდინარე წლის 16 აპრილს დღის 13 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომას ესწრება საკრებულოს 18 (თვრამეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრება 5(ხუთი) წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელი დემური ლიპარტელიანი და მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე.

საკრებულოს მორიგ სხდომას ესწრებოდა საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის აპარატის ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი და აპარატის სპეციალისტები ანჟელა ჩანქსელიანი და ელისო გაზდელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცება.**

   /მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

2. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ.**

   /მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

3. **2026 წელს მუნიციპალიტეტში ,,სტიქიის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე.**

   /მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელი დემური ლიპარტელიანი/

სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტასუ ჩანქსელიანმა სხდომის წევრებს წარუდგინა ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში. მან დაწვრილებით ისაუბრა გასული წლის შედეგებზე. გააკეთა შედარებები წინა წლებთან შედარებით. თვალსაჩინოებისთვის ელექტრონულად წარმოადგინა გზამკვლევი.

შეკითხვა დასვა სხდომის თავმჯდომარემ დავით პირველმა: რა იყო ძირითადი პრიორიტეტი 2025 წლის ბიუჯეტში.

მომხსენებელმა პასუხად აღნიშნა, რომ ჩვენი ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები იყო ინფრასტრუქტურა და სოციალური დაცვა.

ანგარიშთან დაკავსირებით თავისი აზრი დააფიქსირა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ელდარი ლიპარტელიანმა: ანგარიში ვადების დაცვით იქნა საკრებულოში წარმოდგენილი, დაიდო ვებ.გვერდზე, განიხილა კომისიამ რამდენჯერმა და მოეწყო ანგარიშის საჯარო განხილვაც.

კითხვა დასვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ხუტა მუკბანიანმა - ძალიან ცუდი სიტუაცია არის სოფლებში ნაგვის ურნებთან დაკავშირებით და როგორია ამ კუთხით საფინანსო სამსახურის მიდგომა? ხომ არ არის აუცილებელი თვითო მეეზოვის დამატება სოფლებში, რომლებიც მოაგვარებენ ამ პრობლემას.

საფინანსო სამსახურის უფროსმა პასუხად აღნიშნა, რომ აიპიებში დასაქმებულ პირებს, თემების მიხედვით დაევალებათ აღნიშნული პრობლემების მოგვარება, ახალ კადრებს ნამდვილად ვერ დავამატებთ.

მომხსენებელს შეკითხვები დაუსვეს საკრებულოს წევრებმა მურმან ტვილდიანმა, გამზა ლიპარტელიანმა, მარეხი ონიანმა.

განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდა გარე განათების ხარჯებზე, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს ადგილობრივ ბიუჯეტს.

კითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ანგარიში დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: საქართველოს კანონის ,, საბიუჯეტო კოდექსის 88-ე მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

2. მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს გააცნო საკითხი - **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ.**

შეკითხვა დასვა სხდომის თაცმჯდომარემ დავით პირველმა: რა ძირითადი ცვლილება შედის აღნიშნულ დადგენილებაში.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაემატება ელექტრონული აუქციონი.

შეკითხვა დასვა: სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ მევლუდ ლიპარტელიანმა - როგორ უნდა განისაზღვროს გასაქირავებელი ფართის საწყისი ფართი?

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არის შესაბამისი ფორმულა, რის მიხედვითაც მოხდება გასაქირავებელი ფართის შეფასება.

საკრებულოს წევრებმა სხვა შეკითხვებიც დაუსვეს მომხსენებელს.

მომხსენებელმა პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ.

3. მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელმა დემური ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი

2026 წელს მუნიციპალიტეტში ,,სტიქიის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ,, სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამა“ ადგენს, სტიქიის თავიდან ასაცილებლად ან სტიქიის შედეგად მოსალოდნელი ზიანის შესამცირებლად წინასწარი ზომების მიღების მიზნით, ,,საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან პროექტების შერჩევის კრიტერიუმებსა და პროცედურას.

შესარჩევი პროექტის მიზანია სტიქიის თავიდან ასაცილებლად წინასწარი ზომების მიღება ან სტიქიის სედეგად მოსალოდნელი ზიანის შემცირება. აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა 2026 წელს მუნიციპალიტეტში ,,სტიქიის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხა.

აზრი გამოთქვა მურმან ტვილდიანმა; აღნიშნულ ნუსხას უნდა დაემატოს სოფ. გვიმბრალაში ხიდებს შორის მდინარის კალაპოტის გაწმენდა;

მარეხი ონიანი: სოფ. სასაშში სგიმრაშურას კალაპოტის გაწმენდა.

სხვა წინადადება არ დაფიქსირებულა.

განკარგულების პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარადა ღია კენჭისყრა:

მომხრე -18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას 2026 წელს მუნიციპალიტეტში ,,სტიქიის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხა და დაემატოს სოფ. სასაშში სგიმრაშურას კალაპოტის გაწმენდა და სოფ. გვიმბრალაში ხიდებს შორის მდინარის კალაპოტის გაწმენდა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ დღის 14 საათსა 40 წუთზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა დასრულდა.